




ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის პირობების შემოწმების მიზნით შექმნილი ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
დაწესებულების სახელწოდება	თბილისის გერმანული საერთაშორისო სკოლის დაფუძნებისა და მხარდაჭერის კავშირი
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	ა(ა)იპ

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე 


მონიტორინგის ჯგუფის წევრი 

მონიტორინგის ჯგუფის წევრი  
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....



საგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	404378874
--	-----------

ავტორიზაციის მოპოვების საფუძველზე, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ახორციელებს:	
დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	➤
საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	➤


მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე 

მონიტორინგის ჯგუფის წევრი 

მონიტორინგის ჯგუფის წევრი  
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....



საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	➤
საბაზო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას	
საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას	

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე 

მონიტორინგის ჯგუფის წევრი



მონიტორინგის ჯგუფის წევრი




დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....



II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქ.თბილისი
იურიდიული მისამართი	წყნეთის გზატკეცილი N63
ფაქტობრივი მისამართი	წყნეთის გზატკეცილი N63
საფოსტო ინდექსი	0162
დაწესებულების ვებ-გვერდი	<a href="http://www.deutscheschule.ge">www.deutscheschule.ge</a>
დაწესებულების ელ-ფოსტა	<a href="mailto:sekretariat@deutscheschule.ge">sekretariat@deutscheschule.ge</a>


მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე 

მონიტორინგის ჯგუფის წევრი 

მონიტორინგის ჯგუფის წევრი  
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....




დაწესებულების ტელეფონის ნომერი/ფაქსი	032 2293100
ხელმძღვანელი/წარმომადგენელი (სახელი, გვარი)	შტეფანი დროლ
ტელეფონის ნომერი/ფაქსი	557 427090
ელ-ფოსტა	<a href="mailto:verwaltung@deutscheschule.ge">verwaltung@deutscheschule.ge</a> <a href="mailto:leitung@deutscheschule.ge">leitung@deutscheschule.ge</a>

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე 

მონიტორინგის ჯგუფის წევრი



მონიტორინგის ჯგუფის წევრი





დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....



III. ინფორმაცია მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტის შესახებ

<p>მონიტორინგის განხორციელების საფუძველი</p>	<p>სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრის დირექტორის 2020 წლის 08 სექტემბრის ბრძანება - 797710 ა(ა)იპ თბილისის გერმანული საერთაშორისო სკოლის დაფუძნებისა და მხარდაჭერის კავშირის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის შესახებ.</p>
<p>მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე და წევრები (სახელი, გვარი)</p>	<p>ჯგუფის თავმჯდომარე: ქეთევან ბოტკოველი წევრები: პეტრე ბაბილუა ლელა ფიცხელაური</p>

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე 

მონიტორინგის ჯგუფის წევრი 

მონიტორინგის ჯგუფის წევრი   
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....




ვიზიტის განხორციელების პერიოდი	09.09.2020 -11.09.2020
დასკვნის მომზადების თარიღი	24.11.2020
დასკვნის წარმოდგენის თარიღი	24.11.2020

**ვიზიტის მიმდინარეობის საერთო მიმოხილვა**

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრის დირექტორის 2020 წლის 08 სექტემბრის 797710 ბრძანების საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფს დაევალა ა(ა)იპ თბილისის გერმანული საერთაშორისო სკოლის დაფუძნებისა და მხარდაჭერის კავშირის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგი. მონიტორინგის მიზეზი გახდა მშობლის საჩივრის წერილი, რომელიც შემოვიდა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში და რომელიც იუწყებოდა, რომ მან ვერ მოახერხა შვილის მობილობა სხვა სკოლაში იმის გამო რომ მისი შვილი, რომელმაც ამ სკოლაში 5 კლასი დაასრულა, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ბაზაში არ ირიცხებოდა.

ვიზიტის ვადად განისაზღვრა 3 დღე, 2020 წლის 9-11 სექტემბერი.

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე 

მონიტორინგის ჯგუფის წევრი 


მონიტორინგის ჯგუფის წევრი  
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....



ვიზიტის პირველ დღეს გავაცანით დაწესებულების წარმომადგენლებს ვიზიტის საფუძველი და დღის წესრიგი. ვთხოვეთ მათ გამოეყოთ პირი, რომელიც პასუხისმგებელი იქნებოდა ექსპერტთა ჯგუფთან კომუნიკაციაზე. დირექტორის ბრძანებით ამ მიზნით გამოიყო 3 პირი: ნინო აბაშიძე, გიორგი ხუბულური და ნატო მენაბდე. დღის წესრიგის მიხედვით მოვითხოვეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის პირველ სტანდარტთან დაწესებულების შესაბამისობის დამადასტურებელი მტკიცებულებები.

პირველსავე დღეს წარმოდგენილი იქნა საქალაქო 2016 წლით დათარიღებული დოკუმენტაციით, რომელიც სავარაუდოდ ამავე წელს განხორციელებული ავტორიზაციის პროცესისთვის იყო განსაზღვრული.

პირველ და მეორე დღეს ვიმუშავეთ დღის წესრიგის მიხედვით, თუმცა მიმდინარე (შემოწმების) პერიოდის შესაბამისი მტკიცებულებები ჩვენამდე დაგვიანებით ან საერთოდ არ მოდიოდა. მაგ. პირველ დღესვე მოვითხოვეთ მოსწავლეების პირადი საქმეები, რომელთა მოწოდებაც მესამე დღის მეორე ნახევარში გახდა შესაძლებელი. დოკუმენტაცია წარმოდგენილი იყო მხოლოდ გერმანულ ენაზე. გერმანულ ენაზე იქნა წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმაც, რომელიც 2019 წლის იანვარში გერმანული მხარის მიერ იყო სკოლისათვის გადმოგზავნილი. დოკუმენტის ქართულენოვანი ვერსია ვერ იქნა წარმოდგენილი.

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე 


მონიტორინგის ჯგუფის წევრი 

მონიტორინგის ჯგუფის წევრი  
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....





მეორე დღე, დღის წესრიგის მიხედვით 10 საათზე დაიწყო. განხორციელდა შენობის დათვალიერება და შესაბამის დოკუმენტაციაზე მუშაობა. თუმცა მასწავლებლების პირადი საქმეები ამ დღესაც ვერ იქნა წარმოდგენილი. ასევე არ იქნა წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმის ქართულენოვანი ვერსია. . 14 საათზე დაიწყო შეხვედრა მშობელთა კომიტეტის წევრებთან, მათ შორის 2 მშობელი გერმანულენოვანი იყო. რამდენადაც კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ თავის თავზე აიღო თარჯიმნის მოვალეობა, სკოლის წარმომადგენელს უარი ეთქვა შეხვედრაზე დასასწრებად, რომელიც თარგმანის უზრუნველსაყოფად იყო მოწვეული. შეხვედრაზე უკლებლივ ყველა მშობელმა გამოთქვა მოსაზრება სკოლის მუშაობის შესახებ. ერთ-ერთმა მათგანმა გამოთქვა საკუთარი პრეტენზიები სკოლის რიგ რეგულაციასთან დაკავშირებით. კერძოდ ის, რომ მათ არ ეძლევათ საგნის მასწავლებლებთან პირადი ურთიერთობის საშუალება და მხოლოდ დამრიგებლების მეშვეობით იგებენ მათი შვილების სწავლის შედეგებს. მისი მოსაზრებით ქართული ენის სწავლება მრავალეროვან და განსხვავებული ენობრივი ცოდნის კლასში მიმდინარეობს, სადაც არ ხდება კლასის გაყოფა ენის კომპეტენციების განსაზღვრით, რაც მისი აზრით დამაზიანებელია სასწავლო პროცესისათვის. მან მაგალითად მოიყვანა კლასი, რომელშიც მისი შვილი სწავლობს და აღნიშნა, რომ 20 მოსწავლიდან 12 ქართულენოვანი მოსწავლეა და მათთვის ქართული ენის საფუძვლიანი სწავლება დიდ პრობლემებს ქმნის. მისივე მოსაზრებით სკოლას, რომელიც საქართველოს მხრიდან ავტორიზებულია და ორივე ქვეყნის დიპლომების გაცემას აპირებს, არ აქვს სასკოლო სასწავლო გეგმაში გათვალისწინებული ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული შედეგები. ყოველ შემთხვევაში არ აქვს

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე 

მონიტორინგის ჯგუფის წევრი 


მონიტორინგის ჯგუფის წევრი  
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....



დოკუმენტი, რომელშიც გამოჩნდება ამ ორი პროგრამის ერთობლიობა. სხვა მშობლებს, რომელთა ორიენტირი, მხოლოდ გერმანიის უმაღლესი სასწავლებლებია, ასეთი პრეტენზიები არ გამოუხატავთ და მხოლოდ კმაყოფილება გამოთქვით სკოლის მუშაობის შესახებ. მშობელთა კომიტეტის წევრმა გადმოგვცა ასევე სხვა მშობლების თხოვნა ჩვენთან შეხვედრის სურვილის შესახებ. საქმისათვის საჭირო ყველა გარემოების სრულად შესწავლის მოტივით მათი თხოვნა გავითვალისწინეთ და მშობელთა კომიტეტის წევრს დავუდასტურეთ ჩვენი მზადყოფნა სხვა მშობლებთან შესახვედრად, რის უფლებასაც ჩვენი დღის წესრიგით გათვალისწინებული ჩანაწერიც გვაძლევდა. კერძოდ: საჭიროებიდან გამომდინარე შესაძლებელი იყო დღის წესრიგის ცვლილება.

ამავე დღეს დირექტორის ინიციატივით შეხვედრა გვექონდა საჩივრის ავტორი მშობლების ბავშვის კლასის დამრიგებელთან და სკოლის ფსიქოლოგთან. ჩვენი კითხვები მიმართული იყო იმისკენ, თუ რა საჭიროებები გამოკვეთა ფსიქოლოგმა და რა ღონისძიებები დაგეგმა სკოლამ ამ მოსწავლის დასახმარებლად. მათი პასუხები იყო ზოგადი ხასითის და თავს იკავებდნენ კონკრეტიკისგან კონფიდენციალობის დაცვის საბაბით.

მესამე დღეს, 10 საათზე მივედით თუ არა სკოლაში, ადმინისტრაციის უფროსი გიორგი ხუბულური ჩავაყენე საქმის კურსში, რომ მშობლებს სურდათ ჩვენთან შეხვედრა და ჩვენ თანახმანი ვიყავით გამოგვეყო დრო მათთან სასაუბროდ. შესაბამისად, მოვიდა 3 მშობელი, რომლებმაც ასევე უკმაყოფილება გამოხატეს სკოლის რიგი მასწავლებლების მიმართ. მშობლების ვიზიტმა

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე 


მონიტორინგის ჯგუფის წევრი 

მონიტორინგის ჯგუფის წევრი  
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....



უკმაყოფილება გამოიწვია სკოლის დირექტორის, მოადგილის, სკოლის დამფუძნებელთა წარმომადგენლის მხრიდან. სკოლის დირექტორმა გამოგვიცხადა პრეტენზია, იმასთან დაკავშირებით, რომ ის ამ შეხვედრის შესახებ არ ჩავაყენეთ საქმის კურსში. ჩვენ ავუხსენით მას, რომ ჩვენ ამის შესახებ ინფორმაცია მივაწოდეთ მისივე ბრძანებით გამოყოფილ ჩვენთან საკონტაქტო პირს, თუმცა მან აგვიხსნა, რომ მხოლოდ მას აქვს ასეთი გადაწყვეტილებების მიღების უფლება. მათ ასევე გამოთქვეს პრეტენზია იმასთან დაკავშირებით, რომ გერმანელ მშობელს, რომელიც ესწრებოდა მშობელთა კომიტეტის შეხვედრას, ჩვენ ავუკრძალეთ თარჯიმნის ყოლა, რასთან დაკავშირებითაც ავუხსენით, რომ მას არასწორი ინფორმაცია ჰქონდა და რომ გერმანელ მშობელს სიტყვასიტყვით უთარგმნიდა მისივე კოლეგა, კომიტეტის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ შეხვედრაზე პოზიციის დაფიქსირების საშუალება მიეცა ყველა მშობელს და დამშვიდობებისას მათ უკმაყოფილება გამოთქვეს შეხვედრის გამო.

შემდეგ აქტივობად მოსწავლეებთან შეხვედრა იყო დაგეგმილი. ჩვენ მოვითხოვეთ ყველა კლასიდან რამდენიმე მოსწავლესთან გასაუბრება, თუმცა სკოლის დირექტორმა გადაწყვიტა ყველა მოსწავლე ერთად შეეკრიბა სასადილო დარბაზში და მიგვითითა, რომ ჩვენ უნდა შევსულიყავით და აგვეჩიან მოსწავლეები, რომლებთანაც გავისაუბრებდით. ჩვენთვის მიუღებელი აღმოჩნდა ასეთი არჩევანის გაკეთება და ამიტომ სკოლის ყველა მოსწავლესთან, სკოლის მასწავლებლის თარჯიმნობით, ჩავატარეთ შეხვედრა. ჩვენი შეკითხვები იყო ზოგადი: რა მოგწონს სკოლაში და რას შეცვლიდი შენი ნება რომ იყოს. მოსწავლეები

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე 


მონიტორინგის ჯგუფის წევრი 


მონიტორინგის ჯგუფის წევრი  
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....



გამოხატავდნენ კმაყოფილებას სკოლის მიმართ და რაც ცვლილებებს შეეხება, გამოთქვამდნენ სურვილს 90 წუთიანი გაკვეთილების შემცირებასთან და შესვენებების გაზრდასთან დაკავშირებით. ერთმა მოსწავლემ გამოთქვა სურვილი მეტი თავისუფლების შესახებ.

მოსწავლეებთან შეხვედრის შემდეგ შევხვდით მასწავლებლებს. მათთან შეხვედრა საინტერესოდ წარიმართა. 2 მათგანისგან მოვიპოვეთ მათი მუშაობის ამსახველი პორტფოლიოები. მასწავლებლები საუბრობდნენ მათი საქმიანობის შესახებ და იყვნენ კმაყოფილები ამ სკოლაში მუშაობით. შეხვედრა ჩვენი მხრიდან ქართულ ენაზე მიმდინარეობდა, რომელსაც თარგმნიდა ერთერთი ორენოვანი მასწავლებელი, რომელიც ამავდროულად მასწავლებლების პროფესიულ გადამზადებას უძღვება.

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე 


მონიტორინგის ჯგუფის წევრი 

მონიტორინგის ჯგუფის წევრი  
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....



აქვე უნდა აღინიშნოს, გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ უცხო ქვეყნის მოქალაქე მოსწავლეები, რომელთა სწავლის აღიარების უფლებასაც ვერ მოიპოვებს სკოლა ისე სწავლობენ/ასრულებენ სწავლას სკოლაში, რომ მათი ჩარიცხვა/ამორიცხვის შესახებ ბრძანება არ იწერება. მათი სკოლაში სწავლის/სწავლის დასრულების მტკიცებულება ძირითადად სკოლის მეილზე მშობლებისა და სკოლის წარმომადგენლების არაფორმალური მინაწერების საშუალებით რეგულირდება.

ამავდროულად, სკოლამ მოგვაწოდა მოსწავლეთა ბაზა 2020 წლის 9-11 სექტემბრის მონაცემებით. 29 მოსწავლე, რომელიც დარეგისტრირებულია სკოლის შიდა ბაზაში, თუმცა არ არიან რეგისტრირებული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. სკოლის განმარტებით, აღნიშნული მოსწავლეების დოკუმენტაცია სწავლის აღიარების პროცესშია და დასრულებისთანავე მოხდება მათი რეგისტრირება განათლების მართვის საინფორმაციო ბაზაში. აღნიშნული 29 მოსწავლიდან 2 მოსწავლე სკოლაში მიღებულია საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის დარღვევით, 5 წლის ასაკში (ისევე, როგორც საჩივრის ავტორი მშობლის შვილი) და შესაბამისად სკოლამ ვერ ისინი დაარეგისტრირა eschool.emis.ge -ს ბაზაში, რაზეც სკოლის წარმომადგენლები გამოთქვამდნენ წუხილს. დანარჩენი მოსწავლეებიდან, რომლებიც არ იძებნებიან მართვის საინფორმაციო სისტემაში ერთი მოსწავლე სკოლაში სწავლობს 2018 წლის 24 იანვრიდან, 3 მოსწავლე 2019 წლიდან, ხოლო დანარჩენები 2020 წლის სექტემბრიდან. როგორც სკოლის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, ისინი ცდილობდნენ მოსწავლეების დარეგისტრირებას და აწარმოებდნენ მოლაპარაკებებს მართვის საინფორმაციო სისტემასთან.

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე 

მონიტორინგის ჯგუფის წევრი 

მონიტორინგის ჯგუფის წევრი  
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....





ვიზიტის ბოლოს, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულების წინაშე წარადგინა ვიზიტის პერიოდში გამოკვეთილი ძირითადი მიგნებები.


საერთო ჯამში, ვიზიტი მშვიდ ვითარებაში, ძირითადად დღის წესრიგის მიხედვით წარიმართა. დღის წესრიგიდან მცირე გადახვევები ან ზემოაღნიშნული გარემოებები გავლენას ვერ იქონიებს ექსპერტთა ჯგუფის მიგნებების ვალიდურობაზე.

#### IV. მონიტორინგის ვიზიტის შეჯამება

მიუხედავად იმისა, რომ სკოლა ფუნქციონირებს ავტორიზებულ რეჟიმში, არსებობს შეფასების მიზნებისათვის დამატებით გასათვალისწინებელი გარემოება, კონკრეტულად, კი როგორც აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2020 წლის 27 ოქტომბრის N1043959 განმარტებიდან ირკვევა, 2010 წლის 16 ივნისს ხელმოწერილი ერთობლივი განცხადება განზრახვის შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და გერმანიის საგარეო საქმეთა ფედერალურ სამინისტროს შორის თანამშრომლობის თაობაზე თბილისის

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე 

მონიტორინგის ჯგუფის წევრი 


მონიტორინგის ჯგუფის წევრი 

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....



გერმანული საერთაშორისო სკოლის დაფუძნებისა და საქმიანობის მიზნით, შინაარსით წარმოადგენს ორმხრივ შეთანხმებას და მისი დებულებები ეყრდნობა "საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობას შორის კულტურული თანამშრომლობის შესახებ" 1993 წლის შეთანხმების მე-15 მუხლის დებულებებს. აღნიშნულს ადასტურებს როგორც 2011 წლის 6 ივნისით დათარიღებული მინისტრის მოადგილის წერილი, ასევე ის გარემოება რომ 2016 წელსაც განუახლდა ავტორიზაცია აღნიშნულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას.

მონიტორინგის პერიოდში გამოიკვეთა მოსწავლეთა ჩარიცხვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის დარღვევის ფაქტები, კონკრეტულად, სკოლის მიერ ცენტრში, რესურსცენტრში, მინისტრთან გაგზავნილი წერილების, მშობლების მიერ ცენტრში წარდგენილი კორექსიონდენციების, ვიზიტის განმავლობაში გამოვლენილი გარემოებების და განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემების შეჯერების საფუძველზე დასტურდება, რომ სკოლაში სწავლობს სამი მოსწავლე, რომლებსაც არ მიუღწევიათ 6 წლის ასაკისათვის, რითაც დარღვეულია ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნა. ასევე იმ ფაქტის გამო, რომ სკოლაში დღეისათვის ირიცხება 29 მოსწავლე/ჩარიცხვის უფლების მქონე პირი, რომლებიც არ არიან შეყვანილნი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ზოგადსაგანმანათლებლო

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე 

მონიტორინგის ჯგუფის წევრი 


მონიტორინგის ჯგუფის წევრი  
 დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....



დაწესებულებების რეესტრში, დარღვეულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 22 ივლისის 127/5 ბრძანებით დამტკიცებული "საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის წარმოების წესის" მე-14 მუხლის მოთხოვნები.

შესაბამისად, ზემოაღნიშნული ფაქტი და სხვა გარემოებები, რომლებიც მონიტორინგის პერიოდში გამოიკვეთა შესაძლებელია შეფასდეს ავტორიზაციის სტანდარტებთან შეუსაბამობად, თუმცა დაწესებულებას ამისი შესაძლებლობა მიეცა ქართულ და გერმანულ სამინისტროებს შორის 2010 წელს გაფორმებული შეთანხმების და სამინისტროს 2011 წლის 6 ივნისით დათარიღებული წერილის საფუძველზე.

ზემოთ აღნიშნული ქმნის გარკვეულ სამართლებრივ კაზუსს. ჩვენი რეკომენდაციაა, დაწესებულებამ ფუნქციონირება განაგრძოს საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების ქუდქვეშ ან ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონით საზღვარგარეთ აღიარებული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საქართველოში აღიარების შესახებ დადგენილი წესით რაც გაათავსუფლებს მას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის ვალდებულებისაგან, ან უზრუნველყოს სრული შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნებთან, რაც აღარ შეიქმნის სამართლებრივ პრობლემებს სკოლის მოსწავლეებს მობილობასთან ან სკოლის მიერ გაცემული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის აღიარებასთან და მოსწავლეთა შემდგომი განათლების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით.

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე 

მონიტორინგის ჯგუფის წევრი 

მონიტორინგის ჯგუფის წევრი  
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....








ჩვენ ვიზიტის საფუძველზე, დაწესებულების შემდგომი განვითარების უზრუნველყოფის ხელშეწყობის მიზნით ავსახეთ არსებული შეუსაბამობები ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნებთან, რადგანაც ხარვეზებად მათი კვალიფიცირება გართულებულია ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოების გათვალისწინებით.

**V. გამოვლენილი შეუსაბამობების შეჯამება**

სტანდარტი	საგანმანათლებლო პროგრამები	არსებული შეუსაბამობა
ქვესტანდარტი	1.1.	<ul style="list-style-type: none"> <li>სკოლაში ქართული ენა ისწავლება მხოლოდ ქართულენოვანი მოსწავლეებისთვის, რითაც დარღვეულია საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ მუხლები:</li> <li>საქართველოს მოქალაქეებს, რომლებისთვისაც ქართული ენა მშობლიური არ არის, უფლება აქვთ მიიღონ სრული ზოგადი განათლება მათ მშობლიურ ენაზე, ეროვნული სასწავლო გეგმის</li> </ul>

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე 


მონიტორინგის ჯგუფის წევრი 


მონიტორინგის ჯგუფის წევრი 

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....



		<p>შესაბამისად, კანონმდებლობით დადგენილი წესით. ამ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სავალდებულოა სახელმწიფო ენის სწავლება, ხოლო აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში – ორივე სახელმწიფო ენისა.</p> <ul style="list-style-type: none"> <li>საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით გათვალისწინებულ შემთხვევებში შესაძლებელია, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლება განხორციელდეს უცხოურ ენაზე. ამ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სავალდებულოა სახელმწიფო ენის სწავლება, ხოლო აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში – ორივე სახელმწიფო ენისა)</li> </ul>
	1.1.-1.4.	<ul style="list-style-type: none"> <li>სკოლას არ გააჩნია სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით</li> </ul>


მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე 

მონიტორინგის ჯგუფის წევრი 

მონიტორინგის ჯგუფის წევრი  
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....



		<p>დამტკიცებულია. (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ 2016 წლის 18 მაისის 40/5 ბრძანებით დამტკიცებული ეროვნული სასწავლო გეგმა, მუხლი 21, პუნქტი</p> <ul style="list-style-type: none"> <li>სკოლა ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე არაუგვიანეს ერთი კვირით ადრე ამტკიცებს სასკოლო სასწავლო გეგმას.) შესაბამისად, არ არასებობს დოკუმენტი, რომელთან მიმართებითაც დადასტურდებოდა სკოლის მიერ 1.1.-1.4. ქვესტანდარტებთან შესაბამისობა.</li> </ul>
სტანდარტი	მატერიალური რესურსი	

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე 


მონიტორინგის ჯგუფის წევრი 

მონიტორინგის ჯგუფის წევრი   
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....



ქვესტანდარტი	2.7.	<ul style="list-style-type: none"> <li>• უცხო ქვეყნის მოქალაქე მოსწავლეები, რომელთა სწავლის აღიარების უფლებასაც ვერ მოიპოვებს სკოლა ისე სწავლობენ/ასრულებენ სწავლას სკოლაში, რომ მათი ჩარიცხვა/ამორიცხვისას არანაირი ბრძანება არ იწერება.</li> <li>• სკოლას 3 მოსწავლე 2014 წელს მოქმედი კანონმდებლობის დარღვევით 5 წლის ასაკში ჰყავს მიღებული, შესაბამისად ეს მოსწავლეები წლების განმავლობაში არ ფიქსირდებიან მართვის საერთო საინფორმაციო ბაზაში, რაც მათ საქართველოში მობილობის განხორციელების შესაძლებლობას ართმევს.</li> </ul>
	2.8.	<ul style="list-style-type: none"> <li>• სკოლას არ გააჩნია 2020-2021 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა.</li> </ul>

VI. დაწესებულების საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)


მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე 


მონიტორინგის ჯგუფის წევრი 

მონიტორინგის ჯგუფის წევრი  
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....



<p><b>საუკეთესო პრაქტიკის მაგალითი</b></p>	<p>თბილისის გერმანული საერთაშორისო სკოლა კულტურული დიალოგის გერმანულენოვანი სკოლაა.ეს იმას ნიშნავს, რომ გერმანულენოვანი ქვეყნებიდან ჩამოსული მოსწავლეები ქართველ და სხვა ეროვნების ბავშვებთან ერთად სწავლობენ და ცხოვრობენ. მათ გერმანული და ქართველი პედაგოგები ასწავლიან. სკოლა 2010 წელს დაარსდა,</p> <p>სკოლა ფუნქციონირებს</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• გერმანიიდან, ავსტრიიდან და შვეიცარიიდან ჩამოსული ბავშვებისთვის, რომლებიც თავიანთ მშობლებთან ერთად თბილისში დროებით იმყოფებიან</li> <li>• საქართველოში მცხოვრები ბავშვებისთვის, რომელთა მშობლიური ან მეორე ენა გერმანულია</li> <li>• ქართველი ან სხვა ეროვნების ბავშვებისთვის, რომელთა მიზანია, გერმანულს დაეუფლონ ან გერმანულენოვანი განათლება მიიღონ</li> </ul> <p>სკოლის მოსწავლეები გერმანიაში აღიარებულ სასკოლო განათლებას მიიღებენ, ამასთან საქართველოს კულტურასა და ქართულ ენას შეისწავლიან.</p>
--	---


მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე 

მონიტორინგის ჯგუფის წევრი 

მონიტორინგის ჯგუფის წევრი  
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....



	<p>სკოლაში ქართველი და სხვა ეროვნების მოსწავლეები გერმანულენოვან სასწავლო გარემოში გერმანულ ენასა და კულტურას ეცნობიან.</p> <p>სკოლაში ძირითად საგნებს გერმანული პედაგოგები ასწავლიან. ამ მიზნით საზღვარგარეთ არსებული გერმანული სკოლების მთავარი სამმართველო (ZfA) სკოლის დირექტორსა და პედაგოგებს გერმანიიდან მოავლენს. გარდა ამისა, სკოლაში სათანადო პედაგოგიური განათლებისა და გერმანული ენის საუკეთესოდ მცოდნე ადგილობრივი მასწავლებლებიც მუშაობენ.</p> <p>სკოლა გასცემს გერმანულ ატესტატებს და, შესაბამისად, გერმანულ სასკოლო სისტემაში შეუფერხებელი გადასვლის საშუალებას იძლევა. სკოლაში სწავლის დაწყება მთელი სასწავლო წლის განმავლობაში შესაძლებელია.</p> <p>თორმეტი სასწავლო წლის დასრულების შემდეგ თბილისის გერმანული საერთაშორისო სკოლის მოსწავლეებს გერმანული საერთაშორისო გამოცდების (DIAP) ჩაბარება შეუძლიათ, რაც მათ გერმანიასა და მრავალ სხვა ქვეყანაში უმაღლესი განათლების მისაღებად უპირატესობას მიანიჭებს.</p>
--	--


მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე 

მონიტორინგის ჯგუფის წევრი 

მონიტორინგის ჯგუფის წევრი  
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....



<p><b>დაწესებულების მისია</b></p>	<p>სკოლის მისია წარმოადგენს სკოლის ღირებულებათა ერთიანობას, რომლითაც სკოლა ხელმძღვანელობს.</p> <p>სკოლის მისია უნდა დაგვეხმაროს მასში ჩამოყალიბებული საფუძვლების იმპლემენტირებაში. სკოლის მისია არის გზა, რომელსაც უნდა გაჰყვეს სკოლა იმისათვის, რომ საკუთარ მიზანს მიაღწიოს.</p> <p>თბილისის გერმანული საერთაშორისო სკოლის მისიაა:</p> <p>თანადგომა, ტოლერანტობა, ფასეულობების სწავლება</p> <p>გერმანული ენა და კულტურათაშორისი დიალოგი</p>
-----------------------------------	--


მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე 


მონიტორინგის ჯგუფის წევრი 

მონიტორინგის ჯგუფის წევრი  
 დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....



	<p>სწავლება და სწავლა ინოვაციური მეთოდებით</p> <p>სოციალური კომპეტენცია და დამოუკიდებლობა</p> <p>თანადგომა, ტოლერანტობა, ფასეულობების სწავლება</p> <p>თბილისის საერთაშორისო სკოლის მოსწავლეები სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეები არიან. კულტურებისა და პიროვნული ხასიათების მრავალფეროვნებას ჩვენ აღვიქვამთ, როგორც სიმდიდრეს, რადგან ეს მრავალფეროვნება გვეხმარება ისეთი ღირებულებების გადაცემაში, როგორებიცაა პატივისცემა, ტოლერანტობა, ემპათია და განსხვავებული აზრის მიღების უნარი.</p> <p>თბილისის გერმანულ საერთაშორისო სკოლაში მოსწავლეები დემოკრატიულ პრინციპებთან შეხების პირველ გამოცდილებას იღებენ. ჩვენს სკოლაში არსებულ მოსწავლეთა თვითმმართველობაში</p>
--	--

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე 


მონიტორინგის ჯგუფის წევრი 


მონიტორინგის ჯგუფის წევრი  
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....





	<p>მონაწილეობით სწავლობენ, რომ ისინი საჭირონი არიან და რომ მათი აზრი მნიშვნელოვანია. ასევე სწავლობენ ცოდნის მიღებაზე პასუხისმგებლობის აღებასა და სხვა ადამიანებთან კომუნიკაციას.</p> <p><b>გერმანული ენა და კულტურათაშორისი დიალოგი</b></p> <p>თბილისის გერმანული საერთაშორისო სკოლა კულტურული დიალოგის სკოლაა, სადაც გერმანელი და არაგერმანულენოვანი ბავშვები ერთად იღებენ განათლებას. ცოდნისა და კომპეტენციების გადაცემა ხორციელდება თიურინგიის ფედერალური მიწის სასწავლო გეგმით, მისი მიზანი საშუალო განათლების ატესტატისა და გერმანული საერთაშორისო აბიტურის გაცემაა (DIA). სასწავლო ენა არის გერმანული ენა. გერმანული სასწავლო მასალა და დამატებითი გაკვეთილები ემსახურება გერმანული ენის სწავლების ხელშეწყობას. ტრადიციული დღესასწაულების ერთად აღნიშვნა გერმანულ და ქართულ კულტურებს ერთმანეთთან აახლოებს.</p>
--	---


მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე 


მონიტორინგის ჯგუფის წევრი 

მონიტორინგის ჯგუფის წევრი  
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....



	<p><b>სწავლება და სწავლა ინოვაციური მეთოდებით</b></p> <p>თბილისის გერმანული საერთაშორისო სკოლა სთავაზობს მაღალი ხარისხის განათლებას, ამისთვის დამოუკიდებელი მოქმედებისთვის საჭირო სივრცეს ქმნის. პედაგოგიური საქმიანობის მიზანი გაკვეთილის ფარგლებში მოსწავლეების ძლიერი მხარეების განვითარება და მათი ინდივიდუალური დახმარებაა. თანამედროვე სასწავლო გარემოში მოსწავლეები საგნობრივი კომპეტენციების შესწავლის პარალელურად მედიალურ და მეთოდურ უნარებსაც იძენენ. კომპეტენციის ტესტში მონაწილეობით, როგორცაა, მაგალითად, თიურინგიის მიწის კომპეტენციის ტესტი, შესაძლებელია ჩვენი სკოლისა და გერმანიის სკოლების შედეგების შედარება.</p> <p>სხვადასხვა ეროვნების თანამშრომლები რეგულარულად იღებენ მონაწილეობას პროფესიული განვითარების სემინარებში სკოლის შიგნით და სკოლის გარეთ. მუდმივი კომუნიკაცია და კოლეგიალური დასწრებები ამაღლებს გაკვეთილების ხარისხს. პედაგოგიური ხარისხის მენეჯმენტის</p>
--	--


მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე 


მონიტორინგის ჯგუფის წევრი 

მონიტორინგის ჯგუფის წევრი  
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....



	<p>ფარგლებში მუდმივად ვითარდება პედაგოგიური კონცეპტი საგნისთვის - გერმანული ენა, როგორც უცხო ენა (DAF) და გერმანული ენა, როგორც სასწავლო ენა (DFU).</p> <p>მშობლებს, მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შორის არსებობს აქტიური უკუკავშირის კულტურა, რაც მოსწავლეების უნარ-ჩვევებს კიდევ უფრო ავითარებს.</p> <p>გამჭვირვალე წესები, ჩართულობა და ფსიქოლოგის დახმარება ქმნის მოსწავლეებისათვის კომფორტულ გარემოს. საბავშვო ბაღისა და სკოლის კავშირი ხელს უწყობს სოციალური უნარ-ჩვევების განვითარებას, ხოლო მრავალფეროვანი ნაშუადღევის პროგრამა - მოსწავლეების მოტივაციის ამაღლებასა და ახალი ინტერესების ჩამოყალიბებას.</p> <p>ცოდნის გადაცემა ხდება არა მხოლოდ სკოლაში, არამედ სკოლის გარეთაც: რეგულარული ექსკურსიები და მოსწავლეთა გაცვლითი პროგრამები მოსწავლეებს ეხმარება, განამტკიცონ მიღებული ცოდნა და ხელს</p>
--	--


მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე 


მონიტორინგის ჯგუფის წევრი 

მონიტორინგის ჯგუფის წევრი  
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....



	<p>უწყობს მოსწავლეების პერსონალური და სოციალური კომპეტენციების განვითარებას, ასევე ჯგუფის წევრების ურთიერთთანამშრომლობას.</p> <p><b>სოციალური კომპეტენცია და დამოუკიდებლობა</b></p> <p>თბილისის გერმანული საერთაშორისო სკოლის მთავარი მიზანი მოსწავლის დამოუკიდებელ და პასუხისმგებლობის მქონე ადამიანად აღზრდაა, რომელსაც საკითხების კრიტიკული შეფასების უნარი ექნება. ამის წინაპირობა კი არის შემდეგი უნარ-ჩვევებისა და თვისებების ჩამოყალიბება: სოციალური კომპეტენცია, გუნდური მუშაობის უნარი, ინიციატივის გამოხატვის უნარი, განსხვავებული აზრის მიღების უნარი, თავისუფალი აზროვნებისა და კრიტიკული აზროვნების უნარი.</p> <p>ინდივიდუალური ძლიერი მხარეებისა და შემოქმედებითი უნარის განვითარება მოსწავლეს დაეხმარება, გახდეს მსოფლიო საზოგადოების სრულფასოვანი წევრი.</p>
--	--

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე 


მონიტორინგის ჯგუფის წევრი 

მონიტორინგის ჯგუფის წევრი  
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....



	<p>თეორიული და ასევე პრაქტიკული ცოდნის გადაცემის დროს დიდი მნიშვნელობა ენიჭება საგნებშორის სწავლებას. სწავლის მოტივაციის ამაღლებასა და მუდმივი განვითარებისთვის მზაობას ხელს უწყობს სწავლების სხვადასხვა მეთოდი, გასაკუთრებით თანამშრომლობითი სწავლების მეთოდი.</p>
--	---

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)


მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე 

მონიტორინგის ჯგუფის წევრი 

მონიტორინგის ჯგუფის წევრი  
 დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....



წინა ვიზიტის პერიოდში გაცემული რეკომენდაციების აღწერა	რეკომენდაციები არ ყოფილა გაცემული
---	-----------------------------------

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე 

მონიტორინგის ჯგუფის წევრი 

მონიტორინგის ჯგუფის წევრი  
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....



**VIII. თანდართული დოკუმენტაცია**

დანართი N1 - გერმანული საერთაშორისო სკოლის წერილი სამინისტროს (გერმანულ და ქართულ ენებზე) – გვ. 6

დანართი N2 - ერთობლივი განცხადება განზრახვის შესახებ (გერმანულ და ქართულ ენებზე) - გვ. 6


დანართი N3 - სამინისტროს (ქურდაძის) წერილი - გვ.1


დანართი N4 - წერილი ცენტრიდან -გვ.1

თბილისი,

24.11.2020

გვერდების რაოდენობა: 31

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე 

მონიტორინგის ჯგუფის წევრი 

მონიტორინგის ჯგუფის წევრი   
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....